წველიადის ჩაღრებს ჩაუყვალავს ფერთა მანტია, კოკისპირულით შეღამების უბეც გავისილა. ნაპრალმომდგარი დაქარწვიმება მიწის დარდია, ზოგჯერ ავღარი დარზე უფრო მეტად კარგია. ბროლის ნამსხვერვეებს ამოშრობს მზე ცარგვალ ცაზე. სხივთა შუქმანდილს მოღაღური გაეთამაშა... მხენრილიან წუთისოფელს გაზაფხული მოაღვა კარზე. სიცოცხლის ძალა ღამის ჩაღრებს გაეკამათა. ჩაღმეობა ამოთვრებულ ალუბლის ყვავილს, სიმწვანის ფარნა ამოავსებს სიშავის ნაპრალს. არა! – ავღარზე უკეთესი დარია მხოლოდ, სიცოცხლის კინი ვებრუნდება დარდებით ჩამქრალით.

აღარ ვიქნებით მზინად?!

ჩამოამძივებს ცა მიწას წვიმის წვეთების ციალით. ცას მკერდი შუეტოკვება, არ მოახვეწებს ნიავი. მოგვწყურდა კაი კაცობა, მთის არწივს ვუხმობთ ბარიდან. რად გაწყდა კაი კაცები, რატომ გამრავლდა აფშინა?! სად არის გაფრინდაული, რატომ არ მიდის ბასტრიონს?! უნამუს-უსაქმურები მიწამ როდემდე ათროს? ხეგ-ხეგს ჩამისდის ნისლები,



არა! მადლად ანთებულა, ნაშრომი განძად დაშოენილა, სამშობლოს სასიკეთოდ ღოცვა-ვედრებდა წასულა... წასულა? თურმე წასულა... დღენი ახალგაზრდობისა წასულა... მადლი და სიკეთე ადამიანების გულში ჩასულა. წასულა? არა! არსად არ წასულან... საქმენი მათნი გაგრძელებულა თურმე – წინ წასულა... ქართული სულთქმა, ქართული გენი, ქართული სისხლი თურმე აბობქრებულა, მომძღაგრებულა... კიდუგანს გადასულა გამრავალფეროვნებულა... მოსულან?

მთებსაც ჩაუცვამთ სუღარა. სად არის ბერი ღმერთი? ალბათ არ ესმის მუღარა. ისევ დაჭრილა არწივი, ყვავილი, ყორანნი ხარობენ. სული დაწყლულდა, დამჭლევედა, ხორცნი სძღებინა, ღაღობენ. ვაჟე-გვიშველე ღმერთს მადლით და მოგვიშუშე იარა. ქართულ კაი ყმა უმრავლე, მარადჟამს იყოს ფხინადა. ცის ჩარღვეული საკინძე ისევ ატირდა ტილადა. ნუთუ პასუხი არ არის, აღარ ვიქნებით მზინადა?!

მონატრებული ნარცისები

მოვიდა უფრო ზამთარი, მოგუტაცა სითბო და სინათლე. უღლეო დღეების სათავე ნაცრისფერ პალიტრას მავარებს. წარსულში ჩაღაღრენ დღეები, ფერების სიჭრელე ჩანაცრდა. განვლილი გზების საყარზე ჩამქრალი სანთლები გამრავლდა. უღლეო დღეების მოძულეთ ბრძოლის კინს აგვინებებს ფარულად. ჩამოვკლავთ ანთებულ გულებით, ტკივილი დარჩება წარსულად. ავერცხლილ სანთლების ღაციცში შევკლვით, ჩავაცხრობთ დარღს ისევე. ის, რაც გვაბობს და გვახარებს, მოგავარის ფერების ნარცისებს.

გაზაფხულდაო

ამოქარგა ცის ტატნობზე თეთრი ქულები, ბუნქებმა გულში ჩაიხუტეს პრანჯია ია. სიღურჯის მორვეს შეერიო ფიქრთა ფერება, ჩახაფრებული გაზაფხული მოგაფერება. თურმე მოსულან... ახალი იღებთ, ახალი აზროვნებით, ახალი იმედებით, ახალი სურვილებით... თქვენნი მომედვე მომავლის მუშაკი, მომდე თაობა – მოსულა!

ქართველობა

„ქართველობა მწელია, მაგრამ აუცილებელი“ (მამა ბიორგი ბასილაძე) ქართველობა რომ მწელი არის გაიგო ყველამ... ქართველობა რომ ძლიერი არის შეიგნო ყველამ... ქართველობა რომ ცხრაკლიტულს ადებს შეიგნო ყველამ... ქართველობა რომ დიდი მუხტია ირწმუნა ყველამ... ქართველობა რომ უძღვევლია ეს გწამდეთ ყველას... ამირანის ჯიშის რომაა... გაიგოს ყველა! არვის დაუთმობს მიწის გოჯსაც ირწმუნოს ყველამ... ზედ შეაკვდება მტერსა და ღმერთს, შეიგნოს ყველამ... ქართველობა რომ ყველაფერს შექლებს ირწმუნოს ყველამ... ქართველობას რომ ღმერთს მადლი ფარავს, სჯეროდეს ყველას... ქართველობას რომ გადაარჩენს ღმერთადმი რწმენა. ეს გწამდეთ ყველას... გაიგოს ყველამ... შეიგნოს ყველამ... ირწმუნოს ყველამ... ეუწყოს ყველას... ასეთი არის უფლისა ნება.

ღმერთადმი თვალმობატულს მოაქვს აბრილი, ჭრელი პეპლები დაათრო იამ ველს გააპარა... ფერთა გამაში ატმის ხემაც შემოგვხარხარა, „გაზაფხულდაო!“ – სიკეკლეუციო შემოგვახარა.

რომან ზუპაკიშვილი

რომან ზუპაკიშვილი პოეტი, არამთი ღმერთა კრავულის ავტორი, საბავთველო კვლეობა და მცენიეობა თავისუფალი პრეზენტაციის საბავთველო რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა, მონინჯან სკოლაში მრავალწელსა და ღმერთაშუკის ასწავლიდა.

ჰიმნი მასწავლებელს

შენ ხარ მოძღვარი ცოდნის ტაძარში, დგახარ და ღოცავ მომავლის ფრესკებს, წიგნის ფურცლებად დღეებს გადაშლი, რომ სიხარულით სიცოცხლე შეკრთეს.

შენ ხარ მეზურე და თავად ის ზვარი, მამულს რომ ავსებს ოქროს მტკენებით, და რომ ავიხდეს ტკივილი სიზმარი, სხვის სიხმრებს მუღამ თავზე ველები.

ხოლო ისეთი დიდი გაქვს გული, ვერცერთ საფიქრალს ვერ აიცილებ. შენ, გაღამტანი ცხელი ზაფხულის, შემოდგომაზე ითვლი წიწილებს.

ამასობაში ჟამი ჟამს მისდევს, მაგრამ ყველა დღე შენი დღე არის... მაგ თმებში თუნდა მოთოვოს კიდეც, შენს გულში მანინც სულ მზე ბრღვეილებს.

გამარჯვებისა ყოველთვის გჯერა და გასაოცრად ხარ დაუღლეო, სულიერების გადახარჩენად პატიოსნების მიგაქვს უღელი.

მიმე ტვირთი გაქვს: ყველას გვჭირდები და რომ გვეგონია, უფრო მეტი ხარ... მასწავლებელი, ერის დიდების, ერის ღირსების შემომქმედი ხარ!..

ხმაური კვლავ მოგონებით დამჭრის, ყოველ ნაცნობს აქ ვამსავსებ ნაპირს, ხელებს ვუწვი გადარჩენილ ტკივილს, ცოცხლობ, რაკი ჟრუანტელი მივლის. ქუნას ჯერაც ესინჯება პულსი, ყველაფერი არ იცვლება ფულზე. ხორცი ძვირი და იაფი სული? სული მანინც არის სასწაული! შორს კი ნისლი რჩეულ ნიშანს ეძებს, მთებზე, ანუ ჩემს დაკეცილ ფრთებზე, ათასწლებში მიმობნეულ ფიქრებს სწორედ ეს დღე მზის სხივებად იკრებს, ქუნას პულსი ესინჯება ჯერაც და მე თქვენს გადარჩენის მჯერა!

ილია – საქართველო

ისევ შიშით მიცემს გული, მაგრამ სხვა რა ვინატრო გზა, დნება ზეცა მეწამული საქართველოს წინათვრძობა... გაქვს ფიქრი წინ წასული და ყვარლის მთებს დაეხიზმრათ დანოქილი წიწამური, შეახილი ვაებისა. ის დღე არის მუღამ ახლოს, ბეწვის ხიდს ჰგავს ოცნების გზა, წიწამური რაკი გვახსოვს, ესე იგი ცოცხლები ვართ! მერამდენად დავრნი ობლად, თუმც ტრფობისთვის მტრობას ვუძლებ. არც მზე ცხრება, არც ჭრილობა საქართველოს ნათელ შუბლზე...

ზოგმა სკამი იშოვა და კიდევ კაი ფული. მე ვერასდროს ვერ მოვცილდი სიყვარულის სამრეკლოს... მოლოდინის ნაპირი ვარ, შენ – მრისხანე ტაიფუნი რაკი აქ ვარ, ურჩად მოვლი და დღევით ვინდა წამლეკო.

არც მკურნალი მჭირდება და აღარც ტყვიო საკონტროლო, ცოცხალ-მკვდარი ვდგავარ ასე, სხვა თრთოლვით და სხვა ვნებით მანინც მინდა თავს დამატყვე, გვერდით კი არ ჩამიქროლო, დამახატო გულზე შენი უმოწყალო თვალები.

27 ოქტომბერი - საპრეზიდენტო არჩევნების დღე

ჩვენი პრეზიდენტი, ანუ ამომრჩევლის სამი შეხედვა თუ კანონზომიერება? ფიქრები არჩევნების წინ

საქართველომ დამოუკიდებლობის შემდეგ სამი პრეზიდენტი იარჩია, „დააკვირვანა“ და სამივეჯერ იმედგაცრუებული დარჩა. ერთს „ომი გამოუცხადეს“, მეორეს „რევოლუცია“ მოუწვეეს. მესამე მგონი მიღწეა ვადის ამოწურვას, მაგრამ ვაი, ამ მიღწევას.

მაინც რაშია საქმე, რატომ ხდება ასე და ლოგიკურია თუ არა მოვლენების ასეთი განვითარება?

მე თუ მითხვით, მოვლენების ასეთი განვითარება ლოგიკურია და პროგნოზირებადიც იყო, უფრო სწორედ, სამივე არჩეული გაკეთდა ისეთ ვითარებაში, როცა ხალხს დაფიქრების საშუალება არ ჰქონდა – მათ ხმა მისცეს უკვე არჩეულ კანდიდატს. – უბრალოდ გაიხსენოთ: გამსახურდიას არჩევის დროს საკითხი იდგა ასე: კომუნისტები თუ „მრგვალი მაგიდა“ და ბუნებრივია სსრკ-ს კანდიდატს გამარჯვების შანსი არ ჰქონდა.

შევარდნაძის არჩევისას, სხვა რეალური კანდიდატი არც არსებობდა (მხოლოდ ვიკტორ რუსუაძის შედეგად მისთვის კონკურენტის გაწევა, მაგრამ ის ამ მოვლენამდე რამდენიმე თვით ადრე მოკვდა).

საკაშვილი კი ყველას ემახსოვრება – ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ იყო ზურგმომხრებელი, თორემ მანამდე მისი რეიტინგი სახარბიელო არ ყოფილა.

მიდი, განვიხილოთ ცალ-ცალკე თითოეულის ნამოღვაწი, მათი რეალური შესაძლებლობები და ისე გააკეთოთ შეფასება. ზვიად გამსახურდიას მართლაც დიდი პარტი იყო. დიდი კონსტანტინეს შვილი სხვანაირი ვერც იქნებოდა. მისი მანამდე განვლილი ცხოვრება ამის დასტურია, მაგრამ შეეძლო კი მას გამართლებინა ხალხის იმედები იმ მეტად რთულ ვითარებაში?

ზვიადს არ ჰქონდა არაფერი ქვეყნის, არამედ თუნდაც პარტი კოლექტივის მართვის გამოცდილება, სადაც ძალზე მნიშვნელოვანია შესაფერისი კადრების მოძიება. სწორედ კადრების შერჩევისას დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა მისი დამხობა – პუნტი მოუწვეეს მისმა პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა, რომელთაც თავდაპირველად მისთვის ყველაზე საიმედო ადამიანები ჩანდნენ.

გარდა ამისა, მან დაუშვა უამრავი მიმე თუ თითქოსდა მარტივი შეცდომა, რაც არ მოუვიდოდა გამოცდილ სახელმწიფო მოხელეს (სენინეთის აშკარა მხარდაჭერას რუსეთი რომ არ აპატიებდა, თავიდანვე ნათელი იყო; რკინიგზის გადაკვეთა სამტრედიასი რუსეთის ბლოკადის მიზნით? სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული რამდენიმე გაზეთის დახურვა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთან“ მიერთების მოტივით... (მაშინ სხვა გაზეთები თითქმის არ გამოდიოდა), ცხინვალში მიტინგის ჩასატარებლად გამგზავრება და კიდევ მრავალი სხვა). ყველაზე დიდი შეცდომა კი, ალბათ, განდევნის შემდეგ მისი სამეგრელოში ჩამოსვლა იყო, რასაც სამოქალაქო ომი, აფხაზეთის დაკარგვა და ზვიადის დაღუპვა მოჰყვა.

აშკარაა, გამსახურდიას არ იყო მზად პრეზიდენტობისათვის, რამაც არა მარტო მისი კრახი, არამედ ქვეყნის უდიდესი კატასტროფა გამოიწვია – მის დროს დაიწყო სამოქალაქო ომი, დაიკარგა კონტროლი ცხინვალის რეგიონზე, ხოლო სამეგრელოში დაბრუნება ჩვენთვის და სამოქალაქო ომი, როგორც უკვე ვთქვით, კიდევ ერთი მიზეზი გახდა აფხაზეთის დაკარგვისა.

გამსახურდიას საპრეზიდენტო მოღვაწეობაზე საქართველოში მიუკერძოებელი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა (მისი თან ადფრთოვანებულნი არიან, ან ლანძღავენ), არა და ასეთი ნაშრომი ანაღობის გასაკეთებლად და შემდგომი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია.

დამოუკიდებელი საქართველოსათვის რი-

გით მეორე პრეზიდენტი XX საუკუნის 80-იანი წლების სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე ვლადიმერ ზევიდაძე გახდა.

გამსახურდიას განდევნის შემდეგ მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებული და მხედრონისა და გვარდიის (ანუ მათი მეთაურების – ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის) მიერ სახელმწიფო საბჭოს მეთაურად დანიშნული ზევიდაძე ფაქტობრივად ერთადერთი კანდიდატი იყო პრეზიდენტობისა არჩევნებში, რომელიც 1994 წელს ჩატარდა, რადგანაც მისი სახელთან ასოცირდებოდა ქვეყნის გადარჩენის იმედი. ხალხი ფიქრობდა, რომ ზევიდაძე შეძლებდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას და განდგომილი „სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნებას.

1993 წლის ბოლომდე ზევიდაძის რეალურ კონკურენტად მთავრობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვიკტორია, რომელიც დღითი დღე იხვეჭდა პოპულარობას თავისი საქმიანობით და პოლიტიკური პროცესების შეფასებით. მისი მიზანმიმართული აქტივობები და მისი მეშვეობით ზევიდაძე უაღვრესად რეალური დატოვა, რამაც უზრუნველყო კიდევ მისი აბსოლუტური გამარჯვება.

ზევიდაძის რეალური კონკურენტი არც მეორე ვადით არჩევისას ყოფილა.

ზევიდაძე ხალხს ახსოვდა როგორც სამართლიანი და პრინციპული პოლიტიკოსი და იმედი ჰქონდა, რომ იგი შეძლებდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას და მის აყვავებას თუ არა, აღორძინებას მაინც. მოსვლისთანავე მან მართლაც შეძლო ცხინვალთან ნდობის აღდგენა და იქ რუსი სამშვიდობოები ჩააყენა, მაგრამ მალევე ჩათრეული აღმოჩნდა უფრო დიდ კონფლიქტში აფხაზეთში, რასაც საბოლოოდ კიდევ ერთი რეგიონის დაკარგვა მოჰყვა. მიუხედავად მისი მცდელობისა (ის ხშირად ჩადიოდა სიხუმსა და ცხინვალში), ამ რეგიონების სეპარატისმი ვერ დაძლია. მისი ხელისუფლება უსუსურად გამოიყურებოდა. ზევიდაძემ ვერ შეძლო ენერგეტიკული პრობლემების მოგვარებაც კი – დენით და ბუნებრივი აირით მომარაგება მისი მართვის წლებში მუდამ პრობლემა იყო და კურორტული ფორმებისა და ხდებოდა. ყველაზე ცნობადი სახე მის მთავრობაში ენერგეტიკის მინისტრი იყო. ხალხმა ზევიდაძე იცოდა რომელ ელექტროსადგურს რა სტირდა და როდის ითვებოდა დაგეგმარული „მეცხრე ბლოკი“. ბუნებრივია, ბიუჯეტის საჭირო ოდენობით შევსებაც არ ხერხდუ-



ბოდა და შედეგი – დაგვიანებული ხელფასები და პენსიები ყოველდღიური ნორმა იყო. იმის მიუხედავად, რომ ზევიდაძე გამოცდილი პოლიტიკოსი იყო და არც კადრების შერჩევა უკრძალავს, ისიც საკუთარმა თანამებრძოლებმა დაამხეს – მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდულმა ფრთამ – უკრაინა-საკაშვილ-ბურჯანაძის მეთაურობით.

აღსანიშნავია, რომ ეს რევოლუცია, რომელსაც შემდეგ ვარდების სახელი დაერქვა, ბრწყინვალე ნიმუში იყო პიარ-ტექნოლოგიის შემოქმედებით ხელისუფლების ხელში ჩაგდებას იმ ჯგუფის მიერ, რომელიც მანამდე რეალურ კონკურენტად არ მთავრობდა.

ზევიდაძის დროს ხალხს ჰქონდა მოთხოვნა ძლიერი მმართველისა, რომელიც წესრიგს დაამყარებდა ქვეყანაში და გაამთლიანებდა კიდევ მას.

საკაშვილმა მოსვლისთანავე დაიწყო „წესრიგის დამყარება“. ტელევიზიები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ საოლქოებიდან საცვლებს ამარა წამოყრილი ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრების კადრებს. ტელევიზიებს, რომლებიც ამ პიარს ფეხს არ უწყობდა, ხურავდა. სხვებზე პოლიტიკური თოკ-შოკები აღარ გადიოდა. მალე გადაიჭრა ელექტროენერჯის პრობლემა, მოიმატა პენსიებმა, საოცა-

რი შედეგი გამოიღო პატრულის შექმნამ, დაიწყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება... თუმცა ყველაფერ ამას არ მოჰყოლია მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრების პრობლემის გაუმჯობესება. „წარმატებებიც“ კი აშკარა ძალადობის ფონზე მიმდინარეობდა. და, მაინც, მიუხედავად ტოტალური დაშინებისა, ხალხმა შეიტყო გირველიანის, რობაქიძისა და სხვათა საზარელი მკვლელობების ამბები, რაც დააგვირგვინა ზურაბ ჟვანიას დაღუპვამ, რომელიც ხელისუფლებამ უბედურ შემთხვევად წარმოადგინა, თუმცა საქართველოში არაფერს შეპარვია ეჭვი, რომ პრემიერ-მინისტრი მოკლეს და ბევრი ადამიანი მკვლელობის სააკაშვილს მიიხრევს.

საკაშვილმა გაუძლო 2007 წლის კრიზისს, როცა მის წინააღმდეგ აგორებულ ხალხის აღშფოთებას სათავეში ჩაუდგნენ მისივე ყოფილი თანამებრძოლი, ერთ დროს მისი „მარჯვენა ხელი“ ირაკლი ოქრუაშვილი და მილიარდერი ბადრი პატრაკაციშვილი. მათ ბრძოლას ზურგს უმაგრებდა იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული ტელეარხი „იმედი“.

ქუჩაში გამოვიდა ათობით ათასი ადამიანი. სააკაშვილმა ეს პრობლემა ძალით გადაჭრა – მიტინგები დააბრუნა, უამრავი ადამიანი სამაგალითოდ დასაჯა, ხოლო „იმედი“ სპეცრაზმმა გაანადგურა. ამას მოჰყვა მისი გადადგომა და



ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა, რომელშიც თავი გამარჯვებულად გამოაცხადა.

თუ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი ვადა, მიუხედავად გადაცდომებისა, მაინც ქვეყნისთვის სასარგებლო აღმოჩნდა, მეორე ვადით მართვისას საქართველომ ნამდვილი კატასტროფა განიცადა. ცხინვალის ავანტიურა რუსეთს მისცა საბაზო ეს რეგიონები დამოუკიდებლად ქვეყნებად გამოცხადებინა და მათი „დაცვა“ თვითონ გაისრვა.

საკაშვილის მართვა ეფუძნებოდა ძალადობასა და პიარს. ისე ჩანდა, რომ იგი ვერ აცნობიერებდა, თუ რა ციქრა ქვეყანად პრეზიდენტი იყო – მსოფლიოს ბუდის გადაწვევასაც ცდილობდა. ალბათ ესეც გახდა მიზეზი 2008 წლის ომისა რუსეთთან, როცა იგი აკეცა ავანტიურაში პუნინს და ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა.

საკაშვილის დროს პატიმართა რიცხვმა ყველა რეკორდი მოხსნა, ვინც პრეზიდენტის კეთილგანწყობით არ სარგებლობდა და რაიმე ქონება გააჩნდა, ართმევდნენ. დამკვიდრდა ქონების სახელმწიფოსათვის „ჩუქების“ პრაქტიკა. საპატიმროებში წესად იქცა სისასტიკისა და დაშინების მეთოდები. მაგრამ ამანაც ვერ უშეშა და სააკაშვილი არჩევნებში დამარცხდა. ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ დაუმარცხებელი“ სააკაშვილი დაამარცხა.

და, აი, კარს მოგვადგა ახალი არჩევნები – როცა საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთი შანსი ეძლევა გააკეთოს სწორი არჩევანი – აირჩიოს პრეზიდენტად ისეთი ადამიანი, რომელსაც არა მარტო სურვილი ქნება ქვეყნის აღმშენებლობისა, არამედ უნარიც და რეალური შესაძლებლობაც. შევძლებთ კი ამჯერად მაინც სწორი არჩევანის გაკეთებას? არის კი ქართული საზოგადოება გონივრული და არა ემოციური არჩევანის გასაკეთებელი?

დღევანდელი საქართველოს ამომრჩეველი უფრო გამოცდილია, ვიდრე გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ან თუნდაც 2003 წელს, მაგრამ იგი მაინც შორსაა იდეალური ნათესაობის, ნაცნობობის ან პირადი კეთილდღეობის მოტივებიდან გამომდინარე. დღესაც ჩვენი საზოგადოება ელის მესიასს, მხსნელს და არა პრეზიდენტს. ჩვენი ამომრჩევლები არ შეუძლია დაინახოს ის საფრთხეები, რასაც შეიცავს ამა თუ იმ ადამიანის არჩევა ასეთ მაღალ თანამდებობაზე. ხშირად თანამდებობაზე ვირჩევთ იმ დროისათვის ძლიერების ზენიტში მყოფ ადამიანს, მაშინ როცა ჭეშ-



მარტივი დემოკრატიისათვის ასეთი მიდგომა არასწორია.

ძველ საბერძნეთში, ათენში, რომელიც ითვლება დემოკრატიის კლასიკურ ნიმუშად, მიღებული იყო წესი, – როცა რომელიმე პოლიტიკოსი განსაკუთრებულ პოპულარობას მოიხვეჭდა და დიდი დამსახურებები აღმოაჩნდებოდა ქვეყნის წინაშე, – მას ქვეყნიდან აძევებდნენ!!! თვლიდნენ, რომ ის საფრთხეს წარმოადგენდა დემოკრატიისათვის.

მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში დიდ ბრიტანეთს სათავეში ედგა უინსტონ ჩერჩილი, რომლის სწორმა პოლიტიკამ განაპირობა კიდევ ანტიფაშისტური კოალიციის შექმნა და ფაშისტური გერმანიის დამარცხება. 1945 წელს, როცა მთელი ბრიტანეთი გამარჯვებას და ფაქტობრივად გადარჩენას ზეიმობდა, ბრიტანელმა ამომრჩევლებმა თავის გადამრჩენელს ხმა აღარ მისცეს და პრემიერ-მინისტრად მისი მოწინააღმდეგე აირჩიეს.

ასეთი რამის წარმოდგენა დღევანდელ საქართველოში შეუძლებელია. ჩვენთან თანამდებობა, მათ შორის პრეზიდენტობა, ჯოდლოს პეაგს. ჩვენ ძლიერების ზენიტში მყოფ ადამიანს ვაძლევთ ხმას, თუნდაც ვიცოდეთ, რომ იგი მართლაც „დედას გვიტოვებს“.

სწორედ ასეთი ფონი უძღოდა წინ სააკაშვილის არჩევას 2003 წელს.

და ბოლოს, რა შეიძლება ითქვას არჩევანზე, რომელიც სულ მალე უნდა გააკეთოთ?

საბედნიეროდ, მომავალ პრეზიდენტს აღარ ექნება ის განსაკუთრებული უფლებები, რაც დამღუპველი აღმოჩნდა მისი წინამორბედებისათვის.

ეს არჩევნებიც გამარჯვების ფონზე მიმდინარეობს – ამჯერად ძლიერების ზენიტში „ქართული ოცნება“.

თუმცა არის განსხვავებაც – „ქართული ოცნების“ ლიდერი და ამ გამარჯვების სულისჩამდგამელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის და მისთვის სამოქალაქო სექტორში.

მე არ ვიცი, რას გააკეთებს, რა მეთოდებით შეეცდება ჩვენი საზოგადოების სრულყოფას, მაგრამ ცხადია, ის მისი სწორედ იქ, სადაც ყველაზე მეტად გვიჭირს და ცხადია, მან სწორად დაინახა ჩვენი მთავარი სისუსტე და ისიც ნათელია, რის გაკეთებას შეეცდება – მას სურს ქართველმა ხალხმა ისწავლოს შავისა და თეთრის გარჩევა, მას სურს აღაღასოდეს შეცვლდეს არჩევნებში, შეგუდლოს ხელისუფლების მაძიებელში პოტენციური მონსტრის შეცნობა, ვაკონტროლოთ სახელმწიფო მოხელეები ისე, რომ აღარავის გაუჩნდეს გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის შექმნის სურვილი. ერთი სიტყვით, სურს ნამდვილი დემოკრატიული, ევროპული სახელმწიფოს აშენება.

ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, რადგანაც დემოკრატიისათვის აუცილებელია ე.წ. საშუალო ფენა, რომელიც საქართველოში ძალიან მცირე რიცხვითაა და მისი განვითარება ეკონომიკური რეველუცია სჭირდება. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.

და კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მთავარი შეცდომა რომელსაც წინა პრეზიდენტების არჩევისას ვუშვებდით – ჩვენ მუდამ ვვებდით მესიასს თუ არა აღმამენებელს მაინც, და გვეპონა, რომ არჩეული პრეზიდენტი სასწაულს მოახდენდა, ხვავით და ბარაკით აგვავესება, ქვეყანას გაამთლიანებდა და გააფართოვებდა. ამის მაგივრად სამივემ დაკარგა ტერიტორიები, ხოლო ხვავი და ბარაკი ერთეულთა კუთვნილება გახდა.

27 ოქტომბერი ტენტი იქნება იმისა, როგორი საზოგადოება ვართ, სწორად ადვიტვამთ თუ არა მოვლენებს, რამდენად რეალურად ვაფასებთ პრეზიდენტობის კანდიდატების აღდებით და უარყოფით მხარეებს, რამდენად სწორად ვაანალიზებთ მათ წარსულს, მათ შესაძლებლობებს და რეალურ სურვილებს და რაც მთავარია – მათ გულწრფელობას.

იმედია, ამჯერად მაინც არ შეეცდებით და თანაც ... გავეცნობარტლებს.

ზურაბ აბულაშვილი



სკოლაგდელი აღზრდის დანახვებზე გადასახადი გაუქმდა – აღსაზრდელოთა ნაკადმა იმატა

16 სექტემბრიდან საბავშვო მშენებლობის სკოლაგდელი აღზრდის დანახვებზე გაუქმდა. სკოლაგდელი აღზრდის დანახვებზე გაუქმდა არა მარტო მშენებლობის, არამედ სხვა სფეროების მფლობელების მიერ. მშენებლობის სფეროში აღზრდის დანახვებზე გაუქმდა არა მარტო მშენებლობის, არამედ სხვა სფეროების მფლობელების მიერ. მშენებლობის სფეროში აღზრდის დანახვებზე გაუქმდა არა მარტო მშენებლობის, არამედ სხვა სფეროების მფლობელების მიერ.

საბავშვო I საბავშვო ბაღში გასული წლის სექტემბერში 140-150 აღსაზრდელო ადამიანი, თანაც, უმცროს ჯგუფში 3 წლის ასაკიდან იღებდნენ ბავშვებს.

– მიმდინარე წლის სექტემბრიდან ჩვენს ბაღში 250 ბავშვის მშობელთა განცხადებები მივიღეთ, – გვითხრა საბავშვო ბაღის მენეჯერმა **თამარ ლაშვილიძემ**, – წელს ჩვენ ერთი 2 წლიანი ჯგუფი გვეყავს და ორი სამწლიანი. ისე, რომ ბავშვები ჩვენ უკვე 2 წლის ასაკიდან მივიღეთ და არა მარტო ჩვენი, მთელი ქვეყნის მასშტაბით ასეა. მთელი წლების განმავლობაში მშობლები ითხოვდნენ ორი წლის ასაკიდან მიგვეღო აღსაზრდელები, მაგრამ ამის ნებართვა არ გვქონდა. მშობლების ამ სიხარულს სხვა სიხარულს დაერთო – სექტემბრიდან საბავშვო ბაღებში გადის და საბავშვო ბაღებში გაუქმდა გადასახადი, რომელიც 10 ლარს შეადგენდა. როდესაც საამაყო და ორმაგად სასიხარულო, როცა ამ ინიციატივის ავტორი (რომელმაც შემდეგ ხორციც შეისხა) საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი ჩვენი მუნიციპალიტეტისა და თინათინ ხიდაშელია. ეს საკითხი უამრავი მშობლის პრობლემა იყო. ჩვენს დაწესებულებაში ზოგიერთ მშობელს ორი შვილი მოჰყავს. ბევრს არ ჰქონდა საშუალება გადაეხადა გადასახადი და მხოლოდ ერთი ბავშვი მოჰყავდა. უხერხულ სიტუაციაში ვიყავით ჩვენც, რადგან სოციალურად დაუცველი ოჯახებიც კი იხდიდნენ აღნიშნულ გადასახადს, არც ისინი არ თავისუფლდებოდნენ ათლარიანი გადასახადიდან. ასე იყო მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მასშტაბით. ახლა ეს ბარიერი მოიხსნა. მომავალი

თაობის აღსაზრდელად კი მოგვსენებათ, რამხელა პასუხისმგებლობა აკისრიათ სკოლაგდელი აღზრდის დაწესებულებებს და რა საინტერესო, შრომატევადი პროგრამაა ასათვისებელი შესასწავლი ჩვენი აღსაზრდელებისათვის. თქვენ წარმოიდგინეთ, ორი წლის ასაკიდან ბავშვი ჩვენთან ეხვევა კოლექტიურ თამაშს, ცდილობს ააწყოს ურთიერთობები თანატოლებთან, სწავლობს სათამაშოს დალაგებას, მოწესრიგებას, ნივთების გაფრთხილებას, უმუშავედნობა უნარ-ჩვევები თანატოლთან და უფროსებთან ურთიერთდამოკიდებულებაში. დღეისათვის 60 ბავშვი გვეყავს 2-3 წლიანები. პირველად ზოგიერთს უჭირდა უცხო გარემოში მოხვლა, მაგრამ, გნახეთ, რომ ძალიან მალე შეეჩვივნენ და ჩვენც ვცდილობთ შეუქმნათ გარემო, რომ მათ თავი კომფორტულად და შინაურ გარემოში იგრძნონ. ვფიქრობ, მშობლები კმაყოფილები არიან ჩვენი შინაგანაწესით, კვების მდგომარეობით, სასწავლო-სააღზრდელო პროცესებით. ჩვენი აღსაზრდელები ჩვენთან საღამოს 5 საათამდე არიან, ხოლო მოსამსახურეთა შვილებს ჩვენ 6 საათამდე მორიგე პერსონალით ვემსახურებით.

ჩვენ საბავშვო ბაღში მოსულ მშობლებს გავსახუბრეთ. მათ კმაყოფილება გამოთქვეს სკოლაგდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობით.

ანა იორაძე (მუშაობს საბავშვო ბაღში): – თამარ ქურხული 5 წლისაა, მარიამი ოთხის. მყავს 2 წლის შვილიც, მაგრამ ჯერ მხოლოდ უფროსი გოგონები მოჰყავს საბავშვო ბაღში. ვერ ავიწყრთ, რა მადლობელია ყველა მშობელი იმ გადასახადის მოხსნით, რომელიც ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის ქ-ნი თინათინ ხიდაშელის ძალისხმევით მოხდა. ახლა, ცხოვრების ამ ეტაპზე თითოეულ თეთრს თავისი დანიშნულება აქვს ოჯახებში, არის ოჯახები, სადაც თუნდაც იმ 10 ლარს სხვანაირი დატვირთვა აქვს. შეიძლება მე შემეძლოს ამ თანხის გადახდა, მაგრამ სოციალურად დაუცველს და გაჭირვებულ ოჯახს არ შეეძლოს. ისიც კარგია, რომ იმ 10 ლარის გადაუხდელობით ჩვენი შვილების არც კვებას დაკლებია რამე და არც მათ მოვლას. აქ ბავშვის მოვლა-აღზრდისათვის მობილიზებულია მთელი პედაგოგიური კოლექტივი, ტექნიკური

პერსონალი. მშვიდად ვარ სახლში, ასე მშვიდადაა ჩვენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელის ყველა მშობელი – აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ჩვენი შვილები მშვიდად თამაშობდნენ, სწავლობდნენ, ერთობდნენ.

ხათუნა ხუციშვილი: – ჩემი შვილები ორწლიან-ხუთწლიანები არიან. სექტემბერში პირველად მოვიყვანე და ჩემს განცდებს ვერ ავიწყრთ. მაგრამ, როცა კვების ბლოკი დაგვათავალიერებინეს, როცა მენიუ გაგვაცნეს, როცა მთელი პერსონალის დამოკიდებულება ვნახე არა მარტო ჩემი შვილების მიმართ, სიმართლე გითხრათ, პირველივე დღეებიდანვე დაემშვიდდი. მართლაც სასიხარულოა, რომ ყველა ბავშვი დადის საბავშვო ბაღში, ყველას მიეცა საშუალება გადასახადის გარეშე, ორი წლის ასაკიდან მიიყვანოს შვილი იქ, სადაც მშვიდი გარემოა, სადაც შენი შვილი შეიძლება ანდო უცხო ადამიანებს, რომლებიც შემიძვე მშობლიურ გარემოს უქმნიან ყველას.

თამარ ლაშვილი: – ჩემი შვილი ნიკოლოზ ბუზარიაშვილი 2 წლისაა, და-




მოუკიდებელი, ფრთხილი, საკმაოდ გონიერი. პირველად მიჭირდა თითქოს. ვფიქრობდი, არ ვმუშაობ, რა საჭიროა მისი საბავშვო ბაღში მიყვანა, მაგრამ თავადაც ითხოვდა ბავშვებთან ურთიერთობას. თანაც აქ მართლაც რომ ბევრ რამეს ასწავლიან ამ ასაკიდან ბავშვებს. პროგნოზებით, რომ ბაღის სააღზრდელო პროგრამა უკვე ითვალისწინებს ისეთ მოთხოვნებს 2-3 წლის ასაკის ბავშვიდან, რომ შემდგომ წლებში ბავშვს უკვე გამოუმუშავებული აქვს ყველა უნარ-ჩვევა – ადვილად აითვისოს სკოლაგდელი ასაკის აღსაზრდელებისათვის გათვალისწინებული ის შესასწავლი მასალა, რომელიც მათ პირველ კლასში შესვლაზე უნდა იცოდნენ.

სკოლიდან პირდაპირ უმაღლეს სასწავლებლებში მათი ბრანდის მორიგობას

სსიპ ნუბარ ჰანტუროვის სახელობის ქალაქ საბავშვო №2 საჯარო სკოლის 2012-2013 წლის კურსდამთავრებულთა შედეგები ერთიან ეროვნულ გამოცდაზე საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. 47 კურსდამთავრებულიდან ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დატვირთვით 37 მოსწავლე, მათგან 30 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი და შემდეგმა მოსწავლეებმა მორიგობა დაიწყეს დაწინაურება:

1. თოლომაშვილი თორნიკე – 100% გრანტი თსუ საერთაშორისო ურთიერთობები.
2. ონაშვილი ნატო – 70% გრანტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.
3. მეფარიანი ქეთევან – 70% გრანტი თსუ კომპიუტერული მეცნიერებები
4. ქერიანიშვილი მაკა – 50% გრანტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.
5. ხატიაშვილი ანა – 50% გრანტი თსუ ეკონომიკა
6. ჩხიბაძე ელენე – 50% გრანტი თსუ უცხო ენები
7. დუჩიძე სულხანი – 50% გრანტი ტექნიკური უნივერსიტეტი მშენებლობა



8. კავთუაშვილი ეთერი – 50% გრანტი ილიას უნივერსიტეტი ბიზნესი
 9. მეხაშიშვილი მარიამ – 50% გრანტი ილიას უნივერსიტეტი მეცნიერება და ხელოვნება
 10. სავინაშვილი სალომე – 50% გრანტი თსუ სოციალური მეცნიერებები.
- მულოცავთ ყველას, ყველას**, და მათთან ერთად განსაკუთრებული სიხარულით ჩვენი გახეთის აქტიურ კორესპონდენტებს **ნატო ონაშვილსა და სალომე საბინაშვილს**.

„მასწავლებელი, მასწავლებლობას ბმირობა ბითვლის პერი“ მასწავლებლის დღის მიეძღვნა

4 ოქტომბერს საგარეჯოს ახალგაზრდულ ცენტრში საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის (თავმჯდომარე რომან ზუკაკიშვილი) თაოსნობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლების პედაგოგთათვის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა-კონცერტი გაიმართა. შეხვედრა მიჰყავდა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს თამარ ჯაბადარს.

„განსაკუთრებული ნიჭია იყო პედაგოგი“, – ასე დაიწყო თავისი სიტყვა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტმა რომან ზუკაკიშვილმა. იგი გულთბილი სიტყვებით მიესალმა პედაგოგებს და აღნიშნა მათი როლი ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს მოქალაქის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, მადლობა მოუხადა მათ წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის და ახალ-ახალი წარმატებები უსურვა თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზზე. მუნიციპალიტეტის პედაგოგებს მიესალმა და პოეტ რომან ზუკაკიშვილის ლექსი „სიმნი პედაგოგს“ წაითხა საგარეჯოს სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, მსახიობმა პაატა ქვლივიძემ. პედაგოგებს მასწავლებლის დღე მიულოცა და მუნიციპალიტეტის პედაგოგთა შრომით მიღწევებზე ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის დირექტორმა მანანა ცუცქვიტიძემ, პედაგოგებს პროფესიული დღე გულთბილად მიულოცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თანადგომა ბიძინა ივანიშვილს“. თავმჯდომარე, მედიცინის დოქტორმა, ექიმმა ლეილა ოტიაშვილმა, იორმე დანლოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თეა გურგენიძემ, ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ მანანა როსტომაშვილმა, საგარეჯოს



I საბავშვო ბაღის ლოგოედმა, მასწავლებელმა ციციო ქარსაულიძემ, მსახიობმა გიორგი ქვლივიძემ, კომპოზიტორმა ვაჟა დურგლიშვილმა კი თავისი ახალი სიმღერის ექსკლუზივი საგარეჯოელ პედაგოგებს შესთავაზა. ასევე, პედაგოგებს მიესალმნენ და სიმღერები შეასრულეს საგარეჯოს ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „გარეჯა“ (ხელმძღვანელი მალხაზ ივანელაშვილი), ქალთა სახალხო ანსამბლმა „ჩინარმა“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი), ტელეკომპანია „იმედის“ პროექტის „ახალი ხმის“ მონაწილეებმა სალომე ქოქიაურმა და ნინო მუნიციპალიტეტის ვაჟთა პროექტის მონაწილე, მომღერალმა ირინა ბაირამაშვილმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის განვითარების ახალგაზრდულ საქმეთა სპეციალისტმა, კომპოზიტორმა და მომღერალმა ხათუნა ხატიაშვილმა. შეხვედრის დასასრულს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე რომან ზუკაკიშვილმა კიდევ ერთხელ მიულოცა პედაგოგებს პროფესიული დღესასწაული და გამარჯვებები უსურვა მათ.

მილოცვა

ღაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს თანამშრომლებს **ზურაბ აბულაშვილსა და ბიჭო დაბახიშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავიანთ ოჯახებთან ერთად.

ბაზილი „გარემოს მაცნეს“ რედაქციის

ღაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტს



აბაკი დეპანოვიშვილს. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს თავის ღამაზე ოჯახთან ერთად და წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში.

მუდამ ასეთი ხალისიანი, ყურადღებიანი ყოფილიყავი, ღმერთმა არ მოგიშალოს ენ-თუზიაზმის ის გრძნობა, რომლითაც შენს გარშემოყოფებს უღამაზეც ცხოვრებას.

თანამშრომლები

სამშობლოს საღარაჯოზე ჯარისკაცი – საპაირო ჯილდოს მფლობელი



ზურაბ მახარაძე ხულოს რაიონის სოფელ ძმაგულში დაიბადა და გაიზარდა. 1989 წლიდან კი საგარეჯოს რაიონის სოფელ წაროსთავის ეკონომიკურმა განყოფილებამ დაიწყო მისი მსახურით. 3 შვილის მამამ მოიხადა თუ არა თავისი მხედრული ვალი ქვეყნის წინაშე. 1997 წლიდან 1999 წლამდე მუშაობდა საგარეჯოს არასაუწყებლო დაცვის განყოფილებაში. პარალელურად მუშაობდა ხაშმის საშუალო სკოლაში დაწესებითი სამხედრო მომსახურების ხელმძღვანელად. 1999-2004 წწ სართიკალის ქიმიური უზრუნველყოფისა და საინჟინრო მესანერგეთა ბატალიონის ტექნიკოსია, 2004 წლიდან დღემდე მსახურობს საარტილერიო ბატალიონში საქმის წარმოების სერჟანტად. მონაწილეობას ღებულობდა 2011-2013 წწ ავღანეთში აისაფის მისიაში – ნაღმმძებნად.

21012 წელს საქართველოს პრეზიდენტისგან მინიჭებული აქვს საუკეთესო ჯარისკაცის ტიტული და ფასიანი საჩუქარი „აიპოდის“ სისტემის აპარატი.

ამას გარდა, ქვეყნის საუკეთესო ჯარისკაცი ნატოს სამშვიდობო მისიაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო მედლით დაჯილდოვდა პირადად ამ სამხედრო აღიანისს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფონ რასმუსენმა.

როგორც ცნობილია, ამასწინათ ISAF-ის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისა და შეტანილი წვლილისათვის საქართველოდან დაჯილდოვდა 10 საუკეთესო სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის ზურაბ მახარაძეც, რომელსაც საპატიო ჯილდო – ვერცხლის მედალი პირადად საქართველოს ტავადაციის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გადასცა.

30 საეკონომიკური – სანდოგმულთა დღე

30 სექტემბერს აღინიშნა სანდოგმულთა დღე. რედაქციის ხშირი სტუმარი და ბაზა-თის აქტიური კორესპონდენტი, შერაფალი და ისტორიკოსი ბენი ალმუსანდრე ელმარაშვილი თავადაც სანდოგმული, 85 წლისაა. მიუხედავად ამისა, ამაჟამადაც არ უნდალატა თავის პროფესიულ აქტიურობას და თავის კორესპონდენციაში 80 წლის 66-ე იორამაშვილზე მოგვითხრო, რომელიც უზამ-ხმესურათიდან ჯერ სართიკალა-ში ცხოვრობდა დღე-მამასთან ერთად, შემდეგ კი საბარეჯოში დაემგობრა და თავის 80 წლის მუშაობისთან ერთად კვლავაც ურომით სამიანობას ეწევა:



66-ე იორამაშვილი მაშინდელ საგარეჯოს რაიონში და არა მარტო ჩვენს რაიონში, საქართველოში სახელმწიფო მწველავი იყო. მისი სახელი ხშირად პრესის ფურცლებზე იხსენიებოდა და ტელევიზიიდანაც გვაუწყებდა თავის შრომით მიღწევებს. 1961 წლის 21 თებერვალს მუხროვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი და საქართველოს ცკკას მდივანი ვასილ მჭავანაძე ეწვია. თეთრ ხალათში გამოწყობილი ნინო თავის მეწველ 40 ძროხასთან იდგა სტუმრებთან შესახვედრად. ნიკიტა ხრუშჩოვმა მას მხოლოდ ძროხების, წველადობის შესახებ ჰკითხა და არც დაინტერესებულა თავად მწველავი როგორ ცხოვრობდა, რას განიცდიდა, როგორ ასრულებდა იმ დიდ გეგმებს, რომელიც მწველავების წინაშე იდგა. ნინოს დღესაც ახსენდება ზამთრის ის ცივი, თოვლიანი დღე, რომელიც ცკკას მდივნის ყინულივით ცივმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო ცივი და პირქუში გახადა. თუმცა, 80 წლის გადასახედიდან დღეს ნინოს და თავის მეუღლეს რეზო მისიურაძეს კარგი და ღამაზი დღეების გახსენებაც შეუძლიათ, როცა ნინო საგარეჯოს საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა, რეზო კი ელექტრომონტორი იყო.

ასეა ყველა, ხანდაზმულობის დროს უფრო მეტად იპყრობს ადამიანებს ახალგაზრდობის წლების გახსენება, იმ დღეების ნოსტალგია, როცა ყველას სამუშაო ჰქონდა, როცა ხანდაზმულს ყურადღება და პატივისცემა არ აკლდა მთავრობიდან და არც თანაქალაქელებისაგან.

კაროაძე „ვილი, აიჩრია“ მზადება არჩევნებისათვის

ორგანიზაცია „ქალები მომავლისათვის“ მიერ კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რაიონებში (თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო) განხორციელდა 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების საინფორმაციო კამპანიის პროექტი როლური – თეატრალიზებული ღონისძიებით. პროექტი დაფინანსებული იყო საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრის და UNDP-ის მიერ.

ორგანიზაციის მიერ აღნიშნული რაიონების სამი სოფლის (ყარაჯალა, კაბალი, იორ-მულანლო) ბაზრობის ტერიტორიაზე ჩატარდა თეატრალიზებული „ფულეშობი“ ახალგაზრდობის მიერ. ღონისძიება იყო მუსიკალურად გაფორმებული, პანტომიმის სახით წარმოდგენილი. ღონისძიება მიმდინარეობდა ძირითადად ბაზრობის აქტიურ პერიოდში, შესაბამისად 9-11 სთ-მდე, რათა უფრო მეტი მოსახლეობა დასწრებოდა. ღონისძიების მიმდინარეობის დროს ხორციელდებოდა ორგანიზაციის მიერ მომზადებული ორენოვანი (ქართულ-აზერბაიჯანული) ბუკლეტის გავრცელება, სულ ამ ღონისძიებებზე გავრცელდა დაახლოებით 2000-მდე საინფორმაციო ბუკლეტი. ასეთი სახის ღონისძიება პირველი მცდელობა იყო, მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა.

ვიმედოვნებთ, აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდას და შეამცირებს გაყალბების შემთხვევებს.

ქართული ზიდაობა უზანბი კუზანაშვილის სახელობის საჭიდაო არენაზე



– ჯამბულ მჭედლიშვილს გადაეცა ამისათვის დაწესებული სპეციალური ჯილდო – ჭკელია.

6 ოქტომბერს სიცივისა და უამინდობის მიუხედავად სოფელ კაკაბეთში, მსოფლიო და ევროპის მრავალჯიხის ჩემპიონის უზანბი კუზანაშვილის სახელობის ღია საჭიდაო არენაზე ჩატარდა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში მუნიციპალიტეტის სოფლობის მოჭიდავეთა შორის. ტურნირს, რომელიც 10 წონით კატეგორიაში ჩატარდა, მთავრი მსაჯის რანგში სჯიდა ასპარეზობის ინიციატორი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აიპ „სპორტული გაერთიანების“ დირექტორი გიორგი მისიურაძე. ტურნირი 25 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს და აბსოლუტური წონის ფაღავენებმა დააგვირგვინეს.

ტურნირის დასასრულს საპრიზო ადგილებზე გასული ფაღავენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ჯილდოებით, ხოლო აბსოლუტურ ფაღავენობაში გამარჯვებულ, ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონ კობა მჭედლიშვილის მამას

ბ. ლაბახიშვილი

ახალი წიგნი

გამოვიდა პოეტ **რომან ზუბაიშვილი** კიდევ ერთი წიგნი „ყოველდღიური სასწაულები“. „პოეზიის მოყვარულთათვის ორდინალური არ გახლავთ ახალი ლექსების კრებული. რომან ზუბაიშვილმა „ყოველდღიური სასწაულები“ დრმა გრძნობებით შეკრული მოგვაწვოდა, სადაც ემოცია აზრითაა გადმოცემული, აზრი – სიტყვით, გული კი ინტელექტთან შერწყმულია და თავისივე შექმნილ სამყაროში მხესთან ერთად გამოსულია“ – წერს ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი, კრიტიკოსი და წიგნის მთავარი რედაქტორი ლეიზა ბონკოვა.

სსოვნა კახა მჭედლიშვილი



გავიდა შვილო, უშენოდ უკვე 1 წელი. 14 ოქტომბერს წახვედი და დატოვე შენი ოჯახი, მხიარულმა და კიდევ იმედით სავსემ, მაგრამ... მეუღლე აღარ მოხვედა.

ცრემლითა და ტკივილით მიიღია უშენოდ გატარებული 1 წელი.

ულმობელი ყოფილა სიკვდილი; ყოველი გათენებული დღე ცრემლითა და ტანჯვით იწყება შენი განადგურებული დედისათვის.

წახვედი შენს შვილთან გიორგისთან, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა, შენს ახალგაზრდა მამასთან. მთელი ოჯახი მანდ ხართ; დრო მიდის. ყველაფერი იცვლება ირგვლივ, მხოლოდ შენს ოჯახში არაფერი იცვლება და არც შეიცვლება. შენ იყავი ერთადერთი კაცი, რომელიც ოჯახში რამეს ცვლიდა. აღარ მყავხარ, შვილო. რა ვქნათ, სად მოგნახოთ. შენი მეუღლე, შენი დები, დისშვილები ძალიან დარდობენ, ტირიან, სულ თვალცრემლიანები გიხსენებენ. ჩემო ღამაზო, კეთილო კახა, შვილო, შემოგველოს შენი უბედური დედა, გენაცვალოს შენი ტანჯული დედა.

14 ოქტომბერს მოვალთ შენს საფლავთან ყველა – შენი მეგობრები, შენი დები, ავინთებთ სანთლებს, ვილოცებთ შენი სულისათვის. უფალო, გვეკვდრები, ჩემს კახას მარადიული სასუფეველი დაუშკვიდრე.

დიდი ნათელი დავადგეს, შვილო, იმქვეყნად.

შენი ტანჯული დედა

გონა და სოფიო ჯიდაშვილი



არაფერი ამქვეყნად მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი. სიტყვა უძღურია იმ ტკივილის გამოსახატავად, რაც თქვენი წახვლით დაგვიტოვეთ. გონა, 1 წელი 12 ოქტომბერს შევისრულდა, სოფიოს კი 25 ოქტომბერს 5 წელი შეუსრულდება იმ საშინელი და ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ.

მამის გულმა ვერ გაუძლო ამ ტკივილს და ორი წლის შემდეგ მოურჩენელი სენით დაავადდა. სიცოცხლეში ხომ წარმოუდგენელი სიყვარულით გიყვარდათ ერთმანეთი.

მუხანათი ყოფილა ეს წუთისოფელი. ორივემ ოქტომბერში დატოვეთ ეს ქვეყნა და ახლობლები, ორივეს სიცოცხლე გწყუროდათ, ჩემო ძვირფასებო! ვერაფერი კურნავს უთქვენობით გამოწვეულ სიცარიელეს. გვენატრებით, მაგრამ რა ვქნათ, რომ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. მხოლოდ ისლა დავგრჩენია, იმედად სასაფლაოზე მოვიდეთ, სანთლები დაგინთოთ. გვეჯრა, რომ თქვენი სული ნათელში იქნება, იქ, სადაც რწყულთა ხვედრია.

ოქსახი

რედაქტორი:
თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacnel@hotmail.com